KA040156971298421

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

**№ 387/სა** **06 / სექტემბერი / 2021 წ.**

# ბრძანება

## პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შექმნის და მისი შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე

„პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის № 242 დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტისა და წესის მე-8 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის № 181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის წესის შესახებ“ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2019 წლის 2 აპრილის № 281/სა ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) და დამტკიცდეს მისი შემადგენლობა:

ა) პაატა ტურავა - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი - საბჭოს წევრი;

ბ) ანა ფირცხალაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი - საბჭოს წევრი;

გ) ფიქრია თათარაშვილი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

დ) ნინო კვირიკაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსი - საბჭოს წევრი;

ე) ბესიკ ვეკუა - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს დეკლარაციების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი - საბჭოს წევრი;

2. საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვროს ერთი წლის ვადით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ქარდავა